წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №6

ქ.წალენჯიხა 2020 წლის 29 აპრილი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 დეპუტატი: თემურ ღვინჯილია, დარეჯან დადიანი,მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ბაძამია, ზურაბ სამუშია, დავით ფიფია, ბაკურ სონგულია,ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, გიორგი აბულაძე.

საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: ცოტნე მესხია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, ვლადიმერ კვარაცხელია, ნონა გუჩუა, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა.

აქედან საპატიო მიზეზით საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: ცოტნე მესხია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, ვლადიმერ კვარაცხელია, ნონა გუჩუა, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ლაშა ჭანია მერის მოადგილე ცოტნე შონია, საკრებულოს, მერიის თანამშრომლები და წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 12: 47 სთ.

კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით სხდომა ჩატარდა დისტანციურად , ყველა სათანადო ნორმების დაცვით.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხში წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფს მიმართა მოკლედ გაგვაცნონ მუნიციპალიტეტში ამ დროისთვის არსებული მდგომარეობა .

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 23 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N 8).

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი:**თეა სარია**, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **ჯემალ ბელქანია**, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

3.,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აგვისტოს №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **ჯემალ ბელქანია**, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

4.სხვადასხვა

ა) 2019 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **დავით სოსელია**, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი

მოისმინეს : 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრა ავთანდილ გაბელიამ მიმართა საფინანსო სამსახურის უფროსს, განემარტა თუ რა იყო მიზეზი გასულ წელს ინფრასტრუქტურული პროექტების ჩავარდნის?

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა , რომ ინფრასტრუქტურული პროექტების ჩავარდნა არ ყოფილა, ეს იყო გარდამავალი პროექტები. ყველა პროექტი შესრულდა და ყველა თანხა როგორც რეგიონალური ფონდიდან ისე სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან ათვისებულ იქნა.

საკრებულოს წევრმა ელგუჯა მესხიამ ისაუბრა ტ.გრანელის სახელობის პარკზე , რომლის რეაბილიტაცია წლებია მიმდინარეობს და არ აქვს დასასრული, ის სამუშაოები რაც შესრულდა და გაკეთდა აღნიშნულ პარკში ისიც უკვე დაზიანებულია.

ელგუჯა მესხიამ ასევე ისაუბრა ყოფილი მერიის დამწვარი შენობის დემონტაჟზე.

მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული კომპანია ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა და შავ სიაშია. ხოლო აღნიშნული პარკის რეაბილიტაცია წლის ბოლომდე დასრულდება.

რაც შეეხება მერიის დამწვარი შენობის დემონტაჟს მიმდინარეობს მესაკუთრეებთან მოლაპარაკება, (სულ 4 მესაკუთრე) დოკუმენტაციის მოწესრიგება და რამოდენიმე თვეში მოხდება მისი დემონტაჟი.

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ აღნიშნა , რომ პარკს ჰყავს შტატით დანიშნული ზედამხედველი და ისაა პასუხისმგებელი არ დაზიანდეს პარკში არსებული ინფრასტრუქტურა.

საკრებულოს წევრმა გიორგი აბულაძემ მიმართა საფინანსო სამსახურის უფროსს თუ რა თანხის ეკონომია იქნება გაწეული 2020 წელს კულტურული და სპორტული ღონისძიებების მუხლში რადგან აღნიშნული ღონისძიებები შეჩერებულია პანდემიის გამო.

მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ განმარტა, რომ ეკონომია დაახლოებით 19 ათას ლარს შეადგენს.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

კენჭისყრის დაწყებამდე სხდომათა დარბაზი დატოვა ელგუჯა მესხიამ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი გიორგი აბულაძე, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N9).

მოისმინეს: 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

კენჭისყრის დაწყებამდე დარბაზი დატოვა ირაკლი ხარჩილავამ.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი გიორგი აბულაძე, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N9).

მოისმინეს: 3. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აგვისტოს №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

კენჭისყრის დაწყებამდე დარბაზი დატოვა ირაკლი ხარჩილავამ.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი გიორგი აბულაძე, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N10).

მოისმინეს: 4. სხვადასხვა

ა) 2019 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსმა დავით ბელქანიამ.

აღნიშნული საკითხი მიღებულიქნა ცნობად.

ბ) წალენჯიხის საზოგადოებრი ჯანდაცვის ცენტრის უფროსმა თამარ კვარაცხელიამ , აღნიშნა რომ დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში კარანტინში და თვითიზოლაციაში არავინ არ იმყოფება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**